# აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის ბრძანება


18/06/2025

MES 3 25 0000.317/ბ

**#317/ბ**

**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს „განათლების ხელშეწყობა“ პროგრამით (პროგრამის კოდი: 06 04) გათვალისწინებული „სტიპენდიები“ ქვეპროგრამის (ქვეპროგრამის კოდი: 06 04 26) ფარგლებში სტიპენდიების მისანიჭებელ კანდიდატთა განაცხადების წარდგენის ვადის განსაზღვრის შესახებ**

„დიმიტრი (არზაყან) ემუხვარის და ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდიების დაწესებისა და დიმიტრი (არზაყან) ემუხვარის და ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდიების მინიჭების წესის დამტკიცების თაობაზე“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2016 წლის 25 თებერვლის #12 დადგენილების, „აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის სტიპენდიის მინიჭების წესის დამტკიცების თაობაზე“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2017 წლის 12 სექტემბრის #11 დადგენილების, „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2014 წლის 25 ივლისის #33 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს განათლების და საგანმანათლებლო პროგრამების სამსახურის უფროსის ხათუნა შონიას 2025 წლის 18 ივნისის #688025 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს „განათლების ხელშეწყობა“ პროგრამით (პროგრამის კოდი: 06 04) გათვალისწინებული ქვეპროგრამის ,,სტიპენდიები“ (ქვეპროგრამის კოდი: 06 04 26) ფარგლებში, დიმიტრი (არზაყან) ემუხვარისა და ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდიის მინიჭების მიზნით, კანდიდატთა მიერ განაცხადების წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2025 წლის პირველი ივლისიდან მიმდინარე წლის 31 ივლისის ჩათვლით.


საქართველო, თბილისი, 0102 დიმიტრი უზნაძის ქ. 68 ტელ: (032) 2-95-07-52,
ელ-ფოსტა: meca@abkhazia.gov.ge

2. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს „განათლების ხელშეწყობა“ პროგრამით გათვალისწინებული ქვეპროგრამის ,,სტიპენდიები“ (ქვეპროგრამის კოდი: 06 04 26) ფარგლებში, აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის სტიპენდიის მინიჭების მიზნით, კანდიდატთა მიერ განაცხადების წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2025 წლის პირველი ივლისიდან მიმდინარე წლის 10 აგვისტოს ჩათვლით.
3. დაევალოს სამინისტროს ადმინისტრაციის (სამსახური) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს, ამ ბრძანების გამოქვეყნება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე (პორტალზე) და ფეისბუქგვერდზე.
4. დაევალოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ადმინისტრაციას (სამსახური), უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების ასლის, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, დაინტერესებულ პირთათვის გაცნობა.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, ანა კალანდაძის ქ.#7ა) მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

აფხაზეთის ა
რ განათლებისა და კულტურის სამინისტრო
მინისტრი
ღვაჩლიანი ბექა

ბ. ღვაჩ

ელექტრონული ხელმოწერის ხელმოწერილია